



ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში

2015-2021

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
მოკლე რეზიუმე.....	4
კიბოს გავრცელების გლობალური მონაცემები	6
კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა	8
5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები	12
სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა	17
სტადიურობა.....	18
5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაცია ქალებში.....	19
სარძევე ჯირკვლის კიბო	20
ფარისებრი ჯირკვლის კიბო.....	24
კოლორექტული კიბო	27
საშვილოსნოს ტანის კიბო	28
საშვილოსნოს ყელის კიბო	31
5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაცია კაცებში	35
ტრაქეას, ბრონქის და ფილტვის კიბო	39
წინამდებარე ჯირკვლის კიბო.....	36
შარდის ბუშტის კიბო	43
კოლორექტული კიბო.....	46
ხორხის კიბო.....	49
კიბო ადრეულ ასაკში	51
ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები 15 წლამდე ასაკის ბავშვებში	52
ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები 15-19 წლის მოზარდებში	54
გეორგაფიული განაწილება	57
კიბოს სკრინინგი.....	60
მკურნალობა.....	61
5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაციის კიბო ქალებში.....	63
5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაციის კიბო კაცებში.....	69

წინასიტყვაობა

ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვების მიზნით, 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

კიბოს რეგისტრით დაინერგა პერსონიფიცირებულ მონაცემთა სისტემა; რეგისტრი ამ დროის განმავლობაში ვითარდება, მონაცემთა ხარისხი და მოცვა უმჯობესდება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული გამოწვევები, რაზე რეაგირებაც მომავალი საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ 2015-2021 წლების მონაცემების ანალიზს.

მოკლე რეზიუმე

- საქართველოში ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა (in situ ¹ სიმსივნეების ჩათვლით) 2015-2021 წლებში 10073-დან 11380-მდე მერყეობს. 2021 წელს რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 10432 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 281.3.
- ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 53% აღირიცხა ქალებში, 47% - კაცებში.
- ახალი შემთხვევების ~67% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან (30-70 წლის) ასაკობრივ ჯგუფში; შემთხვევათა 29% - 70 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის ახალი შემთხვევების ~1%. რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 23%.
- ქალებში კიბოს 5 ყველაზე მაღალი ავადობის ლოკალიზაციაა:
 - სარძევე ჯირკვალი
 - ფარისებრი ჯირკვალი
 - კოლორექტუმი
 - საშვილოსნოს ტანი
 - საშვილოსნოს ყელი
- კაცებში კიბოს 5 ყველაზე მაღალი ავადობის ლოკალიზაციაა:
 - წინამდებარე ჯირკვალი
 - ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი
 - შარდის ბუშტი
 - კოლორექტუმი
 - ხორხი
- საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ბავშვებში ყველაზე მაღალი ავადობის ავთვისებიან სიმსივნეებს წარმოადგენს ლეიკემია, ლიმფომები და თავის ტვინის სიმსივნეები.
- 2021 წელს, დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის² კიბოს ახალი შემთხვევების 38.2%; III და IV სტადიებზე - 38.6%, დანარჩენ შემთხვევებში სტადია არ იყო

¹ პრეინვაზიური კიბო

² არ შედის In situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები

იდენტიფიცირებული (ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების კიბოს გარდა).

- 2021 წელს, საქართველოში, კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა 7388 ადამიანი, მათ შორის უმეტესი წილი ტრაქეა, ბრონქის, ფილტვის კიბოზე (14%) და სარძევე ჯირკვლის კიბოზე (10%) მოდის.
- 2015 წლიდან კიბოს პოპულაციური რეგისტრის ფუნქციონირებით შესაძლებელი გახდა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების გამოთვლა 2015-2019, 2016-2020 და 2017-2021 წლებისთვის.
- საქართველოში 2017 წელს დიაგნოსტირებულ კიბოს ყველა ლოკალიზაციისთვის 5-წლიანმა გადარჩენის მაჩვენებელმა 56.3% შეადგინა (გამოთვლილია გადარჩენის შეფასების პირდაპირი მეთოდის გამოყენებით).
- საქართველოში ადრეული ასაკის (20 წლამდე) კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 77.9%-ს შეადგენს ორივე სქესობრივ ჯგუფში.
- აშშ კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით³, საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების 51% საჭიროებს ქირურგიულ მკურნალობას, 72% ქიმიოთერაპიას, ხოლო 57% რადიოთერაპიას.
- კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, 2021 წელს ქირურგიული მკურნალობა ჩატარდა ახალ შემთხვევათა 64.8%-ში, ქიმიოთერაპია და ჰორმონოთერაპია - 64.6%-ში, სხივური თერაპია - 19.5%-ში, იოდოთერაპია⁴ - 47.6%-ში.
- საერთაშორისო საპროგნოზო შეფასებებით, 2018-2030 წლების პერიოდში საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 6%-ით მოიმატებს (ქალებში - 5%-ით, კაცებში - 7%-ით). იმავე პერიოდში, ევროპისთვის პროგნოზირებულია ახალი შემთხვევების 14%-ით მატება (ქალებში - 10%-ით, კაცებში - 18%-ით)⁵.

³ Human Resources Needed for Cancer Control in Low & Middle Income Countries. National Cancer Institute. Radiation Research Program

⁴ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მქონე პაციენტებისთვის

⁵ https://gco.iarc.fr/tomorrow/graphic-isotype?type=0&type_sex=0&mode=population&sex=0&populations=935_268&cancers=39&age_group=value&apc_male=0&apc_female=0&single_unit=500000&print=0#collapse-group-0-3

კიბოს გავრცელების გლობალური მონაცემები⁶

- კიბოთი განპირობებული გლობალური ტვირთი 2020 წელს მოიცავდა 19.3 მილიონ ახალ შემთხვევას (18.1 მილიონი არამელანომა კანის კიბოს გარდა) და ~10 მილიონ გარდაცვალებას (9.9 მილიონი არამელანომა კანის კიბოს გარდა). კიბოს ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციებია:
 - სარძევე ჯირკვლის კიბო (2.3 მლნ შემთხვევა - 11.7%);
 - ფილტვის კიბო (2.21 მლნ შემთხვევა - 11.4%);
 - კოლორექტული კიბო (1.93 მლნ შემთხვევა - 10%);
 - წინამდებარე ჯირკვლის კიბო (1.41 მლნ შემთხვევა - 7.3%);
 - არამელანომა კანის კიბო (1.2 მლნ შემთხვევა - 7%);
 - კუჭის კიბო (1.09 მლნ შემთხვევა - 5.6%).
- გლობალურად კიბოთი გამოწვეულ სიკვდილიანობაში პირველი ადგილი უკავია ფილტვის კიბოს (1.8 მლნ გარდაცვალება - 18%), შემდეგ მოდის კოლორექტული კიბო (935 000 გარდაცვალება - 9.4%), ღვიძლის კიბო (830 000 გარდაცვალება - 8.3%), კუჭის კიბო (769 000 გარდაცვალება - 7.7%) და სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში (685 000 - 6.9%)⁷.
- მსოფლიოში, კიბოს დიაგნოზის დადგენიდან 5 წლის შემდეგ ცოცხალ პაციენტთა რაოდენობა 43.8 მილიონია.
- კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით 70% ვლინდება საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში.
- კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით 1/3 განპირობებულია 5 წამყვანი ქცევითი და დიეტური რისკ-ფაქტორით: ჭარბწონიანობა, ხილის და ბოსტნეულის არასაკმარისი მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, თამბაქო და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება.
- თამბაქოს მოხმარება კიბოს განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია, კიბოთი სიკვდილიანობის 22% თამბაქოს მოხმარებას უკავშირდება.
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიბოს შემთხვევების 25%-მდე განპირობებულია კიბოს გამომწვევი ისეთი ინფექციური აგენტებით, როგორებიცაა ჰეპატიტები B და C და ადამიანის პაპილომა ვირუსი (აპვ).

⁶ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/cancer>


⁷ <https://acsjournals.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.3322/caac.21660>

- განსხვავებულია კიბოს გამოვლენა სტადიების მიხედვით, ასევე დიაგნოსტიკაზე და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში. 2017 წელს, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ 26%—მა აღნიშნა, რომ პათო-მორფოლოგიური დიაგნოსტიკის სერვისები ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების 90%-ზე მეტმა განაცხადა, რომ კიბოს მკურნალობა ხელმისაწვდომია, ამავე დროს, იგივე სერვისი ხელმისაწვდომია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ 30%-ში.
- კიბოს ეკონომიკური ზეგავლენა მნიშვნელოვანია და ის მატულობს. 2010 წელს კიბოთი ავადობის მთლიანი ეკონომიკური ღირებულება/ტვირთი შეფასდა დაახლოებით 1.16 ტრილიონ აშშ დოლარად.
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფში საშუალოდ ხუთიდან ერთი ქვეყანა ფლობს საჭირო მტკიცებულებებს კიბოს მართვის სწორი პოლიტიკისთვის.

კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა


2021 წელს, საქართველოში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 10432 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 281.3.

სურათი 1. კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, ზოგიერთი ქვეყანა და საქართველო, 2020⁸



⁸ <https://www.wcrf.org/dietandcancer/global-cancer-data-by-country/>

სურათი 2. კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, ზოგიერთი ქვეყანა და საქართველო, 2020⁹




⁹ <https://www.wcrf.org/dietandcancer/global-cancer-data-by-country/>

ცხრილი 1. კიბოსავადობის და სიკვდილიანობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში, 2015-2021

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ყველა ლოკალიზაციის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნის ახალი შემთხვევების რაოდენობა	11140	10724	10282	10699	11380	10073	10432
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	299.0	287.7	275.8	287.1	305.9	270.6	281.3
ახალი შემთხვევების რაოდენობა, in situ და კანის სხვა კიბოს გარდა	10251	9922	9633	9934	10469	9253	9555
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	275.2	266.2	258.4	266.6	281.4	248.6	257.6
სიკვდილი კიბოს დიაგნოზით ¹⁰	6268	6829	7095	7329	7873	8024	7388
მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	168.3	183.2	190.3	196.7	211.6	215.5	199.2

სურათი 3. ყველაზე მაღალი ავადობის კიბოს რაოდენობა სქესის მიხედვით, საქართველო, 2021




მოყვანილი ლოკალიზაციების კიბო ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობის ~71%-ს შეადგენს.

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

საერთაშორისო შეფასებებით, საქართველოს მოსახლეობაში კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში ~40%-ს უტოლდება.¹¹

ცხრილი 2. კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში¹²



ორივე სქესი	%
შარდის ბუშტი	2.44
პანკრეასი	1.65
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	1.17
ღვიძლი და ღვიძლშიდა სანაღვლე გზები	1.03
თავის ტვინი	0.62
ხორხი	0.34
ჰოჯკინის ლიმფომა	0.21
ძვალი და სასახსრე ხრტილი	0.09

<https://surveillance.cancer.gov/devcan/canques.html>¹³

¹¹ DevCan: Developing or Dying of Cancer Software, Version 6.7.7. Statistical Research and Applications Branch, National Cancer Institute, 2019. surveillance.cancer.gov/devcan/ და <https://seer.cancer.gov/>

¹² <https://seer.cancer.gov/statfacts/>

¹³ Surveillance, Epidemiology, and End Results (SEER) Program (www.seer.cancer.gov) DevCan database: "SEER 21 Incidence and Mortality, 2000-2017, with Kaposi Sarcoma and Mesothelioma". National Cancer Institute, DCCPS, Surveillance Research Program, Surveillance Systems Branch, released April 2019, based on the November 2018 submission. Underlying mortality data provided by NCHS (www.cdc.gov/nchs)

5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები¹⁴

გადარჩენის მაჩვენებელი საკვლევ ან სამკურნალო ჯგუფში პაციენტების წილია, რომლებსაც შეუნარჩუნდათ სიცოცხლე კიბოს დიაგნოზის დადგენის ან აღნიშნული დაავადების მკურნალობის დაწყებიდან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ყველაზე ხშირად გამოიყენება ერთწლიანი და 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები. კიბოს პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა, ონკოლოგიური მკურნალობის მეთოდების დახვეწა და ტექნოლოგიების განვითარება ის ქვაკუთხედებია, რომლებიც ონკოპაციენტის გადარჩენის პერიოდის ზრდას განაპირობებს.

გადარჩენის მაჩვენებლების გამოთვლის პირდაპირი და არაპირდაპირი (შეფასებითი) მეთოდი გამოიყენება.

პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებლის გამოთვლის უმარტივესი გზა პირდაპირი მეთოდის გამოყენებაა, რომელიც, როგორც განსაზღვრებაშია მითითებული, გვიჩვენებს ჩვენთვის საინტერესო დროის პერიოდის (მაგ. 5-წლიანი პერიოდი) დასასრულს ცოცხლად გადარჩენილ პაციენტთა პროცენტს. აღნიშნული მეთოდი არ ითვალისწინებს საკვლევ ჯგუფში დაკვირვების პერიოდში (მაგ. 5-წლიან პერიოდში) გარდაცვლილთა შორის გადარჩენის თვალსაზრისით არსებულ სხვაობებს¹⁵.

გადარჩენის ალბათობის შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს შორის ყველაზე ხშირად კაპლან-მაიერის მეთოდი გამოიყენება. ის მხედველობაში იღებს თითოეული შემთხვევის (სიკვდილის) გამოვლენის მომენტს (რაც, სავარაუდოდ, რანდომულად ხდება) საკვლევი (მაგ. 5-წლიანი) პერიოდის განმავლობაში და აერთიანებს დროის მომდევნო ინტერვალებისთვის გამოთვლილ გადარჩენის სავარაუდო ალბათობებს. დროის თითოეული ინტერვალი, რომელიც ძირითადად არათანაბარია, განისაზღვრება, როგორც ორ მომდევნო მოვლენას (სიკვდილი) შორის დროის პერიოდი¹⁶.

გადარჩენის კონცეფციის თანახმად, ერთი ან ხუთი წლის გავლის შემდეგ, პაციენტი იქნება ცოცხალი, თუმცა დაავადება შესაძლოა, განმეორდეს ან აღარ განმეორდეს. გადარჩენის საშუალო პერიოდი დროის საშუალო ინტერვალია (მკურნალობის დაწყებიდან ან დიაგნოზის დასმის მომენტიდან), რომლის განმავლობაში პაციენტები სიცოცხლეს ინარჩუნებენ¹⁷.


¹⁴ წინამდებარე დოკუმენტში გადარჩენის მაჩვენებლები გამოთვლილია პირდაპირი მეთოდით

¹⁵ Parkin D.M., Hakulinen T. Analysis of survival. International Agency for Research on Cancer. p.163-164

¹⁶ A Dictionary of Epidemiology, Sixth Edition, Edited by Miquel Porta, 2015

¹⁷ <https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882>; <https://seer.cancer.gov/statfacts/html/common.html> (2011 – 2016)

სურათი 4. ზოგიერთი ლოკალიზაციის კიბოს
5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები¹⁸



წყარო: <https://worldpopulationreview.com/country-rankings/cancer-survival-rates-by-country>, დკსჯეც

¹⁸ <https://worldpopulationreview.com/country-rankings/cancer-survival-rates-by-country> (CONCORD-3 report)

ცხრილი 3. კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (%) ლოკალიზაციის მიხედვით: სარბევე ჯირკვალი და კუჭი, 2017-2021

სარბევე ჯირკვალი		კუჭი	
აშშ	88.6	ბელგია	33.4
ბრაზილია	87.4	ავსტრია	33.1
საფრანგეთი	86.9	პორტუგალია	32.6
ფინეთი	86.8	იტალია	32.4
ავსტრალია	86.2	ისლანდია	32.3
იტალია	86.2	ნორვეგია	32.3
შვედეთი	86.2	გერმანია	31.6
ნორვეგია	85.9	ჩინეთი	31.3
კანადა	85.8	შვეიცარია	30.4
შვეიცარია	85.5	აშშ	29.1
ბელგია	85.4	ავსტრალია	27.9
გერმანია	85.3	საფრანგეთი	27.7
ისლანდია	85.3	ესპანეთი	27.3
ნიდერლანდები	85.0	ახალი ზელანდია	26.7
ახალი ზელანდია	83.7	ლიეტუვა	26
ესპანეთი	83.7	ფინეთი	25.2
პორტუგალია	83.4	ბრაზილია	24.9
ავსტრია	82.9	კანადა	24.8
დანია	82.0	საქართველო*	24.7
გაერთიანებული სამეფო	81.1	შვედეთი	23.2
ჩინეთი	80.9	ჩეხეთი	23.2
ირლანდია	80.0	ესტონეთი	22.8
ჩეხეთი	80.0	ლატვია	22.8
თურქეთი	78.6	ირლანდია	22.7
საქართველო*	75.5	რუმინეთი	22.1
რუმინეთი	75.0	ნიდერლანდები	21.4
პოლონეთი	74.1	რუსეთი	19.9
ბულგარეთი	73.9	ინდოეთი	18.7
ესტონეთი	72.4	პოლონეთი	18.6
ლიეტუვა	72.1	გაერთიანებული სამეფო	18.5
ლატვია	71.1	დანია	17.9
რუსეთი	70.6	თურქეთი	17.1
ინდოეთი	60.4	მონღოლეთი	15.1
მონღოლეთი	56.5	ბულგარეთი	12.9

*კიბოს პოპულაციური რეგისტრი, 2017 წელს დიაგნოსტირებულთა 5-წლიანი გადარჩენა

წყარო: <https://worldpopulationreview.com/country-rankings/cancer-survival-rates-by-country>; დკსჯც

	გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი
	გადარჩენის საშუალო მაჩვენებელი
	გადარჩენის დაბალი მაჩვენებელი

ცხრილი 4. კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (%) ლოკალიზაციის მიხედვით: წინამდებარე ჯირკვალი და ტრაქეა, ბრონქი და ფილტვი, 2017-2021

წინამდებარე ჯირკვალი		ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი (ორივე სქესი)	
აშშ	97.2	აშშ	18.7
ბრაზილია	96.1	ბრაზილია	18.0
ფინეთი	93.2	ავსტრია	17.9
ბელგია	92.6	ჩინეთი	17.5
ლიეტუვა	92.4	კანადა	17.3
კანადა	91.7	ბელგია	16.6
გერმანია	91.2	შვეიცარია	16.5
ავსტრია	90.5	გერმანია	16.2
საფრანგეთი	90.5	ლატვია	16.2
იტალია	89.7	რუმინეთი	16.2
პორტუგალია	89.4	რუსეთი	15.7
შვედეთი	89.2	შვედეთი	15.6
ავსტრალია	88.5	ავსტრალია	15.0
ირლანდია	88.4	ისლანდია	15.0
შვეიცარია	88.0	ნორვეგია	15.0
ესპანეთი	87.1	ნიდერლანდები	14.8
ნორვეგია	86.3	იტალია	14.7
ნიდერლანდები	85.8	საფრანგეთი	13.6
ისლანდია	83.5	პოლონეთი	13.4
გაერთიანებული სამეფო	83.2	საქართველო*	13.2
ჩეხეთი	83.1	ირლანდია	12.9
თურქეთი	80.6	პორტუგალია	12.8
რუმინეთი	76.5	ესპანეთი	12.6
პოლონეთი	74.1	ახალი ზელანდია	12.4
ლატვია	73.9	ფინეთი	12.3
ესტონეთი	73.2	ჩეხეთი	12.3
დანია	71.2	ესტონეთი	11.9
რუსეთი	69.6	დანია	11.3
ჩინეთი	63.8	თურქეთი	10.1
ბულგარეთი	53.4	გაერთიანებული სამეფო	9.6
საქართველო*	52.9	ინდოეთი	9.6
ინდონეზია	43.5	ლიეტუვა	7.7
მონღოლეთი	39.6	მონღოლეთი	6.6
იორდანია	27.4	ბულგარეთი	6.3

*კიბოს პოპულაციური რეგისტრი, 2017 წელს დიაგნოსტირებულთა 5-წლიანი გადარჩენა

	გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი
	გადარჩენის საშუალო მაჩვენებელი
	გადარჩენის დაბალი მაჩვენებელი

წყარო:

<https://worldpopulationreview.com/country-rankings/cancer-survival-rates-by-country>;


დკსკკ

ცხრილი 5. 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები ლოკალიზაციის მიხედვით (%)

ორივე სქესი, საქართველოლოკალიზაცია	2016-2020	2017-2021
ყველა ლოკალიზაცია	55.8	55.0
მათ შორის:		
ფარისებრი ჯირკვალი	97.1	97.6
in situ	96.5	92.3
სარძევე ჯირკვალი	76.0	75.3
საშვილოსნოს ტანი	70.6	68.8
კანის სხვა კიბო	70.5	68.5
საშვილოსნოს ყელი	65.0	59.8
შარდის ბუშტი	57.9	57.8
მელანომა	43.7	57.6
ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილები	56.1	54.3
ტუჩის, პირის ღრუსა და ხახა	43.6	53.8
წინამდებარე ჯირკვალი	58.3	52.9
ხორხი	47.1	52.0
საკვერცხე	48.3	46.7
კოლორექტუმი	43.2	43.0
მეზოთელიური და რბილი ქსოვილები	31.9	40.3
თავის ტვინი	32.8	32.5
ძვლები და სასახსრე ხრტილი	53.6	31.3
სხვა ენდოკრინული ჯირკვლები	33.3	31.3
კუჭი	22.8	24.7
გაურკვეველი, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაცია	20.4	18.0
საყლაპავი მილი	13.3	14.9
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	13.9	13.2
პანკრეასი	14.0	10.0

კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლებთან დადებით კორელაციაშია: გვიან სტადიაზე დიაგნოსტიკისას გადარჩენის მაჩვენებელი მცირდება.

სურათი 5. 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი კიბოს სტადიების მიხედვით¹⁹, საქართველო, 2017-2021




¹⁹ in situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების სიმსივნეების გარდა

სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა


2021 წელს საქართველოში სულ რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 10432 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა 100000 მოსახლეზე - 281.3), მათ შორის 5528 შემთხვევა (53%) რეგისტრირებულია ქალებში, ხოლო 4904 შემთხვევა (47%) კაცებში.

სურათი 6. ყველა ლოკალიზაციის კიბოს განაწილება სქესის მიხედვით, საქართველო, 2021



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ახალი შემთხვევების 67% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ (30-70 წ.) ჯგუფში, ხოლო შემთხვევათა 29% - 70 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე ახალი შემთხვევების 1% მოდის. რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების წილი 23%-ს შეადგენს.


სურათი 7. ყველა ლოკალიზაციის კიბოს განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2021



სტადიურობა

2021 წელს დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის.²⁰ კიბოს ახალი შემთხვევების 38.2%; III და IV სტადიებზე - 38.6%, დანარჩენ შემთხვევებში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული.

სურათი 8. ყველა ლოკალიზაციის (ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების გარდა) კიბოს განაწილება გამოვლენის სტადიების მიხედვით, საქართველო, 2021



²⁰ არ შედის In situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები

5 ყველაზე ხშირი კიბოს ლოკალიზაცია ქალებში

ცხრილი 6. კიბოს ახალი შემთხვევები ქალებში ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2021

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	%
ყველა ლოკალიზაცია	5528	100.0
სარძევე ჯირკვალი	1640	29.7
ფარისებრი ჯირკვალი	708	12.8
კოლორექტუმი	389	7.0
საშვილოსნოს ტანი	372	6.7
კანის სხვა კიბო	330	6.0
საშვილოსნოს ყელი	281	5.1
საკვერცხე	274	5.0
ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილები	211	3.8
გაურკვეველი, მეორადი და დაზუსტებული ლოკალიზაცია	139	2.5
კუჭი	125	2.3
შარდის ბუშტი	105	1.9
თავის ტვინი	104	1.9
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	89	1.6
პანკრეასი	84	1.5
მეზოთელური და რბილი ქსოვილები	68	1.2
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	47	0.9
მელანომა	39	0.7
ძვლები და სასახსრე ხრტილი	38	0.7
in situ	37	0.7
გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნეები	15	0.3
საყლაპავი მილი	15	0.3
სხვა ენდოკრინული ჯირკვლები	9	0.2
ხორხი	5	0.1
T/NK-უჯრედოვანი ლიმფომის სხვა დაზუსტებული ფორმები	3	0.1

ცხრილი 7. ხუთი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო ქალებში, საქართველო, 2021

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ქალზე
სარძევე ჯირკვალი	1640	85.2
ფარისებრი ჯირკვალი	708	36.8
კოლორექტუმი	389	20.2
საშვილოსნოს ტანი	372	19.3
საშვილოსნოს ყელი	281	14.6

2021 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია სარძევე ჯირკვლის კიბოს 1640 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევის 29.7%-ს შეადგენს. 2017 წელს დიაგნოსტირებულ ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა 75.5% შეადგინა.


ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ძუძუს კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 12.9%-ს შეადგენს.²¹

ცხრილი 8. სარძევე ჯირკვლის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	2072	1899	1839	1820	1886	1651	1640
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	33.3	31.2	31.8	30.1	29.8	30.1	29.7
ინციდენტობა 100000 ქალზე	106.5	97.7	94.8	94.0	97.7	85.6	85.2
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	31.2	36.0	36.5	36.6	38.2	42.4	36.5


2015–2021 წლებში სარძევე ჯირკვლის კიბოს რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელიც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში 21%-ით შემცირდა. მნიშვნელოვანია, რომ 2015-2020 წლების განმავლობაში სარძევე ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა იზრდებოდა, ხოლო 2021 წელს ისევ დაიკლო.

სურათი 9. სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 ქალზე, საქართველო




²¹ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/breast.html>

სურათი 10. სარბევე ჯირკვლის კიბო ქალებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100000 ქალზე, 2019



წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>²²

სურათი 11. სარბევე ჯირკვლის კიბო ქალებში, ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ქალზე, 2019




წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>

²² Global Burden of Disease Collaborative Network. Global Burden of Disease Study 2019 (GBD 2019) Results. Seattle, United States: Institute for Health Metrics and Evaluation (IHME), 2020. Available from <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>.

საქართველოში სარბევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა ასაკთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 65-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.


სურათი 12. ქალებში სარბევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2021



ცხრილი 9. ქალებში სარბევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
15-19	0.3	0.3	0.1	0.2	0.1	0.0	0.1
20-24	0.6	0.8	0.9	0.3	0.6	0.5	0.3
25-29	1.9	2.3	2.1	1.8	2.2	2.5	2.2
30-34	4.3	4.8	4.6	4.0	5.0	4.2	4.0
35-39	8.1	8.3	8.3	7.9	8.1	8.5	7.7
40-44	10.4	10.0	10.6	11.4	10.0	10.7	9.9
45-49	13.0	13.2	12.9	12.1	9.8	10.3	10.8
50-54	14.5	16.1	14.0	15.1	13.0	14.0	13.9
55-59	14.7	13.2	15.3	16.6	15.5	16.9	15.0
60-64	11.1	13.4	13.3	13.2	13.0	14.8	15.5
65-69	8.6	6.6	7.2	7.3	11.4	9.4	11.0
70-74	8.1	7.3	6.3	6.8	5.9	3.6	4.5
75+	2.6	2.6	3.6	2.5	3.9	3.3	3.5
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 13. ქალებში სარბევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



2. ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში


2021 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 708 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევების 12.8%-ს შეადგენს. 2017 წელს დიაგნოსტირებული ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა 97.6% შეადგინა.

ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 1.3%-ს უტოლდება.²³

ცხრილი 10. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	605	783	786	934	879	675	708
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	9.8	12.9	13.8	15.8	14.8	13.2	12.8
ინციდენტობა 100000 ქალზე	31.1	40.3	40.5	48.3	45.6	35.0	36.8
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	1.1	1.8	1.0	1.6	1.7	1.5	1.3

სურათი 14. ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 ქალზე, საქართველო




2015–2018 წლებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ინციდენტობა ყოველ 100 000 ქალზე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2019 წელს მაჩვენებელი 6%-ით შემცირდა. 2020 და 2021 წელს ეს ტენდენცია გაგრძელდა (2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, კლებამ

²³ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/thyro.html>

20% შეადგინა). ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი სტაბილურად დაბალ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა მაქსიმუმს 25-29 და 40-54 წლის ასაკობრივ ჯგუფებში აღწევს.


სურათი 15. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2021



ცხრილი 11. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
10-14	0.3	0.4	0.4	0.2	0.6	0.1	0
15-19	2.1	1.4	2.3	1.3	1.6	1.6	1.1
20-24	4.4	4.7	5.4	4.7	4.2	5.2	4.7
25-29	10.9	8.5	8.4	8.3	8.0	9.0	10.7
30-34	7.7	13.0	11.1	12.2	12.4	13.4	12.6
35-39	9.7	8.7	13.1	10.4	11.9	12.2	9.7
40-44	9.9	10.2	10.8	9.9	12.6	10.9	11.6
45-49	9.4	10.1	10.4	10.0	10.4	9.9	11.6
50-54	10.4	10.7	8.9	13.1	9.2	9.6	11.4
55-59	13.5	12.8	8.7	9.0	7.8	8.1	9.0
60-64	10.9	9.4	11.6	9.6	10.2	9.1	8.6
65-69	6.1	6.5	4.7	6.7	6.9	6.3	4.4
70-74	2.6	2.0	2.4	3.0	2.9	3.5	3.7
75+	2.0	1.5	1.8	1.5	1.2	1.0	0.8
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 15. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



3. კოლორექტული კიბო ქალებში

2021 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია კოლორექტუმის კიბოს 389 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში კიბოს ყველა რეგისტრირებული ახალი შემთხვევების 7%-ს შეადგენს. ქალებში 2017 წელს დიაგნოსტირებული კოლორექტუმის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა 44.1% შეადგინა.


ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 4.2%-ია²⁴.

ცხრილი 12. კოლორექტული კიბოს ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	416	380	329	373	367	348	389
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	6.8	6.2	5.8	6.2	5.8	6.2	7.0
ინციდენტობა 100000 ქალზე	21.4	19.6	17.0	19.3	19.0	18.0	20.2
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	10.2	12.0	11.3	14.3	13.6	14.4	14.0

სურათი 17. კოლორექტული კიბო ქალებში, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 ქალზე, საქართველო


²⁴ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/colorect.html>



2021 წელს კოლორექტუმის კიბოს ინციდენტობა 100000 ქალზე 20.2 იყო. 2015–2020 წლებში კოლორექტუმის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა იზრდებოდა; 2021 წელს სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 100000 ქალზე მცირედით დაიკლო და 14.0-ს მიაღწია.

კოლორექტული კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა ასაკთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.


სურათი 18. ქალებში კოლორექტული კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2021



ცხრილი 13. ქალებში კოლორექტული კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
15-19	0.0	0.0	0.6	0.3	0.3	0.0	0.0
20-24	0.2	0.0	0.3	0.0	0.0	0.6	0.0
25-29	0.2	0.5	0.9	0.0	0.3	0.0	0.3
30-34	1.2	0.0	0.6	0.3	0.3	0.3	1.0
35-39	1.2	0.3	0.6	1.1	1.8	1.3	0.8
40-44	0.7	3.2	2.4	1.9	3.0	4.7	0.8
45-49	6.2	3.7	3.0	4.6	4.8	5.3	3.9
50-54	6.7	7.7	6.4	6.3	7.8	5.6	6.2
55-59	12.4	8.8	11.2	11.7	12.5	10.9	12.6
60-64	15.0	17.5	16.1	15.8	12.8	20.0	17.2
65-69	16.9	18.0	16.7	17.2	16.4	17.2	18.8
70-74	13.8	10.9	13.4	12.8	14.6	14.1	17.5
75+	25.5	29.4	27.7	28.1	25.4	20.0	21.1
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 19. ქალებში კოლორექტული კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



4. საშვილოსნოს ტანის კიბო


2021 წელს საქართველოში რეგისტრირებულია საშვილოსნოს ტანის კიბოს 372 ახალი შემთხვევა, რაც ქალებში ყველა რეგისტრირებული ახალი შემთხვევის 6.7%-ს შეადგენს. საშვილოსნოს ტანის კიბოს 2017 წელს დიაგნოსტირებული შემთხვევებისთვის 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელია 68.8%.

ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 3.1%-ია²⁵.

ცხრილი 14. საშვილოსნოს ტანის კიბოს ავადობა და სიკვდილიანობა, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	371	377	346	376	357	327	372
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	5.9	6.2	6.0	6.3	5.7	5.9	6.7
ინციდენტობა 100000 ქალზე	19.1	19.4	17.8	19.4	18.5	16.9	19.3
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	4.8	6.2	6.6	7.4	7.9	8.6	9.3

სურათი 20. საშვილოსნოს ტანის კიბო, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 ქალზე, საქართველო




2015–2021 წლებში საშვილოსნოს ტანის კიბოს ინციდენტობა სტაბილურ დონეს ინარჩუნებდა, 2021 წელს მაჩვენებელმა 100000 ქალზე 19.3 შეადგინა. იგივე პერიოდში საშვილოსნოს ტანის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა სტაბილურად იზრდებოდა, 2021 წელს მაჩვენებელი 100000 ქალზე 9.3 იყო.

²⁵ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/corp.html>

საშვილოსნოს ტანის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა მაქსიმუმს 60–69 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.


სურათი 21. საშვილოსნოს ტანის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა 100000 ქალზე, 2021



ცხრილი 15. საშვილოსნოს ტანის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
15-19	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.0
20-24	0.0	0.0	0.3	0.0	0.0	0.0	0.0
25-29	0.0	0.0	0.3	0.0	0.0	0.3	0.3
30-34	0.8	0.8	0.6	0.5	0.6	0.3	0.3
35-39	1.6	2.1	1.2	1.6	1.2	2.3	1.9
40-44	1.3	3.7	2.0	2.4	3.8	2.6	2.7
45-49	4.8	5.1	4.9	6.5	4.4	5.0	3.0
50-54	15.6	11.5	11.6	7.5	9.4	9.2	9.4
55-59	20.1	17.4	17.4	15.1	19.3	13.9	18.0
60-64	18.0	21.1	23.0	21.0	18.4	21.8	22.8
65-69	20.1	19.8	19.2	20.4	17.3	21.8	20.2
70-74	9.0	7.8	7.8	12.4	11.4	14.2	12.9
75+	8.7	10.7	11.6	12.6	14.0	8.6	8.6
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 22. საშვილოსნოს ტანის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



5. საშვილოსნოს ყელის კიბო

2021 წელს საქართველოში რეგისტრირებულია საშვილოსნოს ყელის კიბოს 281 ახალი შემთხვევა, რაც ქალებში ყველა რეგისტრირებული ახალი შემთხვევის 6%-ს შეადგენს. 2017 წელს დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევებისთვის 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 59.8%-ს შეადგენს.


ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 0.6%-ია.²⁶

ცხრილი 16. საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობა და სიკვდილიანობა, საქართველო

²⁶ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/cervix.html>

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	362	415	311	294	347	309	281
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	5.8	6.7	5.4	4.9	5.6	5.9	6.0
ინციდენტობა 100000 ქალზე	18.6	21.4	16.0	15.2	18.0	16.0	14.6
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	8.5	6.2	8.1	8.6	8.5	8.1	7.8


სურათი 23. საშვილოსნოს ყელის კიბო, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 ქალზე, საქართველო



საქართველოში 2016–2018 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2019 წელს მაჩვენებელი გაიზარდა, ხოლო 2020 წლიდან ისევ დაიკლო და 2021 წელს ინციდენტობა 100000 ქალზე 14.6 გაუტოლდა. იგივე პერიოდში საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა გარკვეულწილად იზრდებოდა, 2020 წლიდან აღინიშნა კლების ტენდენცია (2021 წლის მაჩვენებელი 100000 ქალზე - 7.8).


საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა მაქსიმუმს 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.

სურათი 24. საშვილოსნოს ყელის კიბო, ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100000 ქალზე მსოფლიოს შერჩეულ ქვეყნებში, 2019



წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>²⁷

სურათი 25. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა 100000 კალზე, საქართველო, 2021




ცხრილი 17. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

²⁷ Global Burden of Disease Collaborative Network. Global Burden of Disease Study 2019 (GBD 2019) Results. Seattle, United States: Institute for Health Metrics and Evaluation (IHME), 2020. Available from <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>.

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
0-14	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0
25-29	0.6	1.0	1.3	0.3	0.9	1.3	1.7
30-34	3.4	4.2	3.9	3.4	1.6	2.0	1.4
35-39	7.0	6.7	5.8	3.1	5.6	3.6	2.4
40-44	15.1	8.9	10.7	10.7	13.7	10.6	6.3
45-49	16.0	14.8	11.4	11.7	12.7	8.9	13.9
50-54	17.1	18.7	14.0	19.6	12.4	16.2	15.0
55-59	12.3	17.0	15.9	17.9	16.8	17.2	16.4
60-64	11.2	8.6	12.3	12.7	13.0	15.6	10.8
65-69	7.3	9.4	10.7	9.3	9.9	10.6	13.2
70-74	3.9	5.4	7.5	6.2	6.8	7.9	11.1
75+	6.2	5.4	6.5	5.2	6.5	5.3	5.6
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 26. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



5 ყველაზე ხშირი კიბოს ლოკალიზაცია კაცებში

ცხრილი 18. კიბოს ახალი შემთხვევები კაცებში ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2021

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	%
ყველა ლოკალიზაცია	4904	100
წინამდებარე ჯირკვალი	716	14.6
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	637	13.0
შარდის ბუშტი	443	9.0
კანის სხვა კიბო	400	8.2
კოლორექტუმი	398	8.1
ხორხი	247	5.0
კუჭი	210	4.3
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	206	4.2
ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილები	198	4.0
გაურკვეველი, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაცია	182	3.7
ფარისებრი ჯირკვალი	180	3.7
თავის ტვინი	114	2.3
პანკრეასი	105	2.1
მეზოთელიური და რბილი ქსოვილები	67	1.4
მელანომა	49	1.0
ძვლები და სასახსრე ხრტილი	48	1.0
საყლაპავი მილი	37	0.8
in situ	32	0.7
გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნეები	23	0.5
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	19	0.4
სარძევე ჯირკვალი	11	0.2
სხვა ენდოკრინული ჯირკვლები	9	0.2
მონოციტური ლეიკემია	2	0.04

ცხრილი 19. კიბოს ახალი შემთხვევები, 5 ყველაზე მაღალი ავადობის კიბო კაცებში, საქართველო, 2021

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა 100000 კაცზე
წინამდებარე ჯირკვალი	716	40.2
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	637	35.7
შარდის ბუშტი	443	24.8
კოლორექტუმი	398	22.3
ხორხი	247	13.9

1. წინამდებარე ჯირკვლის კიბო


2021 წელს საქართველოში რეგისტრირებულია წინამდებარე ჯირკვლის კიბოს 716 ახალი შემთხვევა (კაცებში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევის 14.6%). 2017 წელს დიაგნოსტირებული წინამდებარე ჯირკვლის შემთხვევებისთვის 5-5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა 52.9% შეადგინა.

ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელი კაცებისთვის აღნიშნული ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 12.1%-ია.²⁸

ცხრილი 20. წინამდებარე ჯირკვლის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა 100000 კაცზე, საქართველო


	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	657	524	505	622	683	653	716
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	13.0	10.9	10.7	12.4	12.0	13.4	14.6
ინციდენტობა 100000 კაცზე	36.9	29.4	28.2	34.7	38.1	36.4	40.2
სიკვდილიანობა 100000 კაცზე	15.7	18.7	20.4	21.2	27.5	25.9	25.5

სურათი 27. წინამდებარე ჯირკვლის კიბო, ავადობა და სიკვდილიანობა 100000 კაცზე, საქართველო



²⁸ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/prost.html>

სურათი 28. წინამდებარე ჯირკვლის კიბო, სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი 100000 კაცზე მსოფლიოს შერჩეულ ქვეყნებში, 2019




წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>²⁹

საქართველოში 2017–2021 წლებში წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ინციდენტობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2021 წელს ინციდენტობის მაჩვენებელმა 100000 კაცზე 40.2 შეადგინა. იგივე პერიოდში აღნიშნული კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა გაიზარდა - 2021 წელს მაჩვენებელი 100000 კაცზე 25.5-ს გაუტოლდა.

წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა მაქსიმუმს 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.

²⁹ Global Burden of Disease Collaborative Network. Global Burden of Disease Study 2019 (GBD 2019) Results. Seattle, United States: Institute for Health Metrics and Evaluation (IHME), 2020. Available from <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>.


სურათი 29. წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა 100000 კაცზე, საქართველო, 2021



ცხრილი 21. წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
5-9	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
15-19	0.0	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.1
30-34	0.0	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.0
40-44	0.3	0.2	0.2	0.2	0.2	0.0	0.0
45-49	0.2	0.8	0.2	0.7	0.5	0.9	0.6
50-54	2.5	1.8	3.1	2.0	2.0	1.4	2.0
55-59	8.5	7.5	9.6	4.8	8.6	6.3	7.7
60-64	13.3	16.8	15.9	16.8	15.7	13.7	15.8
65-69	21.5	25.7	23.5	24.8	23.2	20.7	23.2
70-74	22.4	19.0	15.9	19.3	22.3	27.1	22.6
75+	31.3	28.1	31.2	31.4	27.2	30.0	28.1
სულ	100	100	100	100	100	100	100

სურათი 30. წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



2. ტრაქეას, ბრონქის და ფილტვის კიბო კაცებში

2021 წელს საქართველოში კაცებში რეგისტრირებული იყო ტრაქეას, ბრონქისა და ფილტვის კიბოს 637 ახალი შემთხვევა, რაც კაცებში ყველა რეგისტრირებული ახალი შემთხვევის 13%-ს შეადგენს. საერთაშორისო შეფასებებით, კაცებში ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბოს ტრაქეას, ბრონქის და ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნეები წარმოადგენს. ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში ამერიკელი კაცებისთვის 6.3%-ია.³⁰


საქართველოში 2017 წელს კაცებში დიაგნოსტირებული აღნიშნული ლოკალიზაციის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 13.2%-ს შეადგენს.

ცხრილი 22. ტრაქეას, ბრონქის და ფილტვის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა 100000 კაცზე, საქართველო


	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ახალი შემთხვევების რაოდენობა	742	726	702	664	712	566	637
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	15.1	15.6	15.7	14.1	13.6	11.9	13.0
